სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №2
2016 წლის 26 თებერვალი

ქ. თბილისი

თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „მ[1]“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**
1. დამტკიცდეს:

ა) „თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები“;

ბ) ცნობა თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესახებ (დანართი).

2. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

3. ბრძანება გავრცელდეს მხოლოდ მისი ამოქმედების შემდეგ წარმოდგენილი მომართვების განხილვაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე ლევან რაზმაძე

თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი და პირობები (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) შესაბამისად და განსაზღვრავს მიმწოდებლის შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში (შემდგომში – თეთრი სია) დარეგისტრირების საფუძვლებს, მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ მომართვის, ასევე მისი განხილვის წესსა და სააგენტოს გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

მუხლი 2. თეთრი სიის ცნება

1. თეთრი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებული მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონითა და ამ წესით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით.

2. სააგენტო თეთრ სიას აწარმოებს საკუთარ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

მუხლი 3. თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის საფუძვლები

1. ნებისმიერ მიმწოდებელს, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შეუძლია მიმართოს სააგენტოს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით.

2. მიმწოდებელი თეთრ სიაში დასარეგისტრირებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ აუცილებელ მოთხოვნებს:

ა) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული შავ სიაში;

ბ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში არ მიუღია გაფრთხილება შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად;

გ) იგი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში;

დ) თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის მის მიმართ არ მიმდინარეობს რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ე) მას სხვადასხვა შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიღებული აქვს არანაკლებ სამი ცნობა, მის მიერ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით (ხელშეკრულების ღირებულება არ უნდა შეადგენდეს 50 000 ლარზე ნაკლებს – საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, ხოლო 200 000 ლარზე ნაკლებს – სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში) ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების შესახებ. ცნობა გაიცემა ამ წესის დანართით დადგენილი ფორმით, რომელიც დატანილი უნდა იყოს შემსყიდველი ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ფორმის დაუცველად წარმოდგენილი ცნობა არ განიხილება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცნობა გაცემული უნდა იყოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ მომართვის სააგენტოში წარდგენის დღემდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე;

ვ) მიმწოდებელი (მის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ყველა პირი) არ არის ნასამართლევი (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე–182-ე მუხლებით, XXVI თავით (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ), XXVII თავით (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში), XXVIII თავით (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში), XXIX (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ), 223^1, 224^1, 322^2, 339-ე, 339^1 და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის;

ზ) მას თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვა, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 200 000 ლარისა ან ჯეროვნად აქვს შესრულებული თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისთვის უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება, მაგრამ ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5 ხელშეკრულებისა. ამასთან, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“, ატვირთული უნდა იყოს შესრულებული ვალდებულებების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ასახული უნდა იყოს ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაცია;

თ) მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისათვის არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

ი) მას განახლებული აქვს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი გაცემული, ხოლო იმავე პუნქტის „დ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი განახლებული უნდა იყოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ მომართვის სააგენტოში წარდგენის დღემდე არაუგვიანეს ხუთი დღით ადრე.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემდეგი მოთხოვნები უნდა დადასტურდეს შემდეგი დოკუმენტაციით:

ა) რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის/გადახდისუუნარობის საქმის წარმოების არარსებობა – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით;

ბ) ნასამართლობის არქონა – ნასამართლობის შესახებ ცნობით;

გ) არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან მოგების გადასახადის, ანდა დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით, ხოლო არანაკლებ 200 000 ლარის ბრუნვის ქონა – ან საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით, ან დღგ-ის დეკლარაცი(ებ)ით;

დ) არანაკლებ 20 (მათ შორის, ბოლო წლის განმავლობაში არანაკლებ 5-ისა) ხელშეკრულების შესრულება – მიმწოდებლის მიერ შედგენილი ჩამონათვალით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს სატენდერო/საკონკურსო განცხადების ნომერი ან ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი;

ე) საგადასახადო დავალიანების არქონა – საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 23.01.2017 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №29 - ვებგვერდი, 09.08.2021 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 13 აპრილის ბრძანება №41 - ვებგვერდი, 13.04.2023 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №47 - ვებგვერდი, 22.08.2023 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №68 - ვებგვერდი, 27.10.2025 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 16 ნოემბრის ბრძანება №109 - ვებგვერდი, 16.11.2026 წ.

მუხლი 4. მომართვა

1. თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ მიმწოდებლის მომართვა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დოკუმენტაციას):

ა) ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“–„ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას;

ბ) მიმწოდებლის კორპორაციულ CV-ს, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ბ.ა) მიმწოდებლის რეკვიზიტებს (სახელწოდება/სახელი, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი, რეგისტრაციის თარიღი);

ბ.ბ) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს;

ბ.გ) საკონტაქტო ინფორმაციას (იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი);

ბ.დ) საქმიანობის სფეროს;

ბ.ე) გამოცდილებას;

გ) ინფორმაციას მიმწოდებლის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა კვალიფიკაციის შესახებ:

გ.ა) პირის სახელი, კვალიფიკაცია და დაკავებული პოზიცია;

გ.ბ) პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, დიპლომები და სხვა;

დ) ინფორმაციას მიმწოდებლის ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი მიმწოდებლის შემთხვევაში);

ე) სააგენტოში თეთრ სიაში რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორის დადასტურებას.

2. მიმწოდებლის მიერ შედგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ხელმოწერილი და დამოწმდეს ბეჭდით (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით, აგრეთვე, იმავე პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას მოიძიებს სააგენტო.

4. არარეზიდენტი პირის მომართვის შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საზღვარგარეთ გაცემული იდენტური დოკუმენტაცია ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ უნდა იქნეს ლეგალიზაციის განხორციელებისათვის/აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს მიერ (თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

5. უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალმა (მუდმივმა დაწესებულებამ) თეთრ სიაში რეგისტრაციის მიზნით დამატებით უნდა წარმოადგინოს ძირითადი საწარმოს სახელზე გაცემული, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული, იდენტური დოკუმენტაცია (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა), რომელთაგან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საზღვარგარეთ გაცემული იდენტური დოკუმენტაცია ლეგალიზებულ/აპოსტილით დამოწმებულ უნდა იქნეს ლეგალიზაციის განხორციელებისათვის/აპოსტილით დამოწმებაზე უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოს მიერ (თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით/შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

6. მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების შემთხვევაში, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ელექტრონულად ხელმისაწვდომი ხდება სააგენტოს ვებგვერდზე.

7. თეთრ სიაში რეგისტრაციის მსურველი (მომართვის წარდგენის შემდეგ)/თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) აცნობოს სააგენტოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „დ“ „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ, შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში და იმავე პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, ამავე ვადაში, წარმოადგინოს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შესაბამისი განახლებული დოკუმენტ(ებ)ი;

ბ) აცნობოს სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერში ისეთი ცვლილების განხორცილების შესახებ, რაც იწვევს ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“–„ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილებას, ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში;

გ) აცნობოს სააგენტოს ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“–„ბ.დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ცვლილების შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს ხუთი დღის ვადაში და იმავე ვადაში წარმოადგინოს იმავე მუხლის იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი განახლებული დოკუმენტ(ებ)ი.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ცვლილების შეუტყობინებლობა/დოკუმენტაციის წარუდგენლობა ან სააგენტოში არასწორი/არასრული ინფორმაციის/დოკუმენტის წარდგენა წარმოადგენს მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე/რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე

უარის თქმის ან თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიმწოდებლის მიერ განახლებული ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სააგენტო უზრუნველყოფს საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის განახლებას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №29 - ვებგვერდი, 09.08.2021 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 7 დეკემბრის ბრძანება №39 - ვებგვერდი, 08.12.2022 წ.

მუხლი 5. მომართვის განხილვა

1. სააგენტო თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ მომართვას იხილავს მისი წარმოდგენიდან არაუმეტეს ერთი თვის ვადაში.

2. სააგენტო უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება ან/და დამატებითი ინფორმაციის წარდგენა, რაც საჭიროა თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

3. სააგენტო უფლებამოსილია, განუხილველად დატოვოს მიმწოდებლის მომართვა, თუ იგი არ წარადგენს (დააზუსტებს) შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს, ამ წესის შესაბამისად, წარმოადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ ახალი მომართვა.

5. სააგენტო მომართვას იხილავს ამ წესითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 6. გადაწყვეტილების მიღება

1. სააგენტო მომართვის ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად განხილვის შედეგად იღებს გადაწყვეტილებას მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების ან თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ.

2. მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრირდება ერთი წლის ვადით.

მუხლი 7. თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება

1. ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ორი და არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, მიმწოდებელს უფლება აქვს, წარადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

2. თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გასაგრძელებლად მიმწოდებელი უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ აუცილებელ მოთხოვნებს.

3. თეთრ სიაში რეგისტრაციის ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელების მოთხოვნისას მიმწოდებელს არ აქვს უფლება, წარმოადგინოს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი ცნობა, რომელიც მას უკვე გამოყენებული აქვს თეთრ სიაში რეგისტრაციისას ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელებისას.

4. სააგენტო თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას იხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად.

5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ვადის დარღვევით, მას შესაძლოა არ გაუგრძელდეს რეგისტრაციის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მისი მომართვა ჩაითვლება თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად, რომელიც განიხილება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 იანვრის ბრძანება №2 - ვებგვერდი, 23.01.2017 წ.

მუხლი 8. მომართვის ხელახლა წარდგენა

მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს, ამ წესის შესაბამისად, წარმოადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ ახალი მოთხოვნა, თუ შეიცვალა (აღმოიფხვრა) ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე ან რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას.

მუხლი 9. გადაწყვეტილების გამოქვეყნება

1. თეთრ სიაში დარეგისტრირების ან თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნდება სააგენტოს ვებგვერდზე, რაც ითვლება გადაწყვეტილების ოფიციალურ გაცნობად.

2. მომართვის განუხილველად დატოვების, თეთრ სიაში დარეგისტრირებაზე ან თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მხარეს ოფიციალურად ეცნობება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. თეთრ სიაში დარეგისტრირების სამართლებრივი შედეგი

1. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი:

ა) თავისუფლდება მხოლოდ იმ სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის ვალდებულებისაგან, რომლის/რომელთა სააგენტოში წარდგენა სავალდებულოა თეთრ სიაში დარეგისტრირების/რეგისტრაციის ვადის გაგრძელების მიზნით, ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (გარდა ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), იმისდა მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია სარეგისტრაციო/უფლებრივი მონაცემების ამსახველი დოკუმენტ(ებ)ის წარდგენის მოთხოვნას;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის 60%-ის ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის 70%-ის ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; ***(ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან)].***

ბ) წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის 80%-ის ოდენობის გარანტიას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; ***(ამოქმედდეს 2028 წლის 1 იანვრიდან)].***

გ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ნახევარს.

1^1. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ამ წესის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო/საკონკურსო დოკუმენტაცია ითვალისწინებს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნას.

1^2. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში ხელახლა წარდგენის ვალდებულების წარმოშობის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიას ან/და მოთხოვნილი ოდენობის ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას სრულად, თუ:

ა) ამოწურულია მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა ან გაუქმებულია მისი თეთრ სიაში რეგისტრაცია;

ბ) იგი დარეგისტრირებულია თეთრ სიაში, თუმცა თავდაპირველი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისას (არსებობის შემთხვევაში) იგი არ იყო დარეგისტრირებული თეთრ სიაში.

2. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია სრულად გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის ვალდებულებისაგან.

3. თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებელი ამ მუხლის პირველი–მე-2 პუნქტებით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობს ნებისმიერი შესყიდვის საშუალებით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობისას.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №35 - ვებგვერდი, 29.08.2017 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №29 - ვებგვერდი, 09.08.2021 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 21 აგვისტოს ბრძანება №47 - ვებგვერდი, 22.08.2023 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 24 ოქტომბრის ბრძანება №68 - ვებგვერდი, 27.10.2025 წ.

მუხლი 11. თეთრ სიაში რეგისტრაციის გაუქმება

მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაციის გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია:

ა) ამ წესის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის დადგომა;

ბ) შავ სიაში დარეგისტრირება;

გ) გაფრთხილების მიღება;

დ) მოვალეთა რეესტრში დარეგისტრირება;

ე) გაკოტრება;

ვ) ლიკვიდაცია ან გარდაცვალება;

ზ) რეორგანიზაცია – თუ მიმწოდებელი აღარ წარმოადგენს თავდაპირველი საწარმოს სამართალმემკვიდრეს;

თ) მის ან მის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის დადგომა;

ი) საგადასახადო დავალიანების წარმოშობა.

მუხლი 12. გადაწყვეტილების გასაჩივრება

თეთრ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

1. ამ წესის ამოქმედებამდე მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებისა და თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები ინარჩუნებს ძალას.

2. ამ წესის ამოქმედებამდე თეთრ სიაში რეგისტრირებულ მიმწოდებლებზე ვრცელდება ამ წესის მხოლოდ მე-9 მუხლი.

დანართი

ცნობა თეთრ სიაში რეგისტრაციასთან დაკავშირებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შესახებ

[გაცემის თარიღი და ადგილი]

ეს ცნობა ადასტურებს, რომ მიმწოდებელმა *[მიმწოდებლის სახელწოდება/სახელი და საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი]* ჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები:

რეკვიზიტები: *[ხელშეკრულების დადების თარიღი და ნომერი, სატენდერო/საკონკურსო განცხადების ან ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი]*;

ხელშეკრულების ღირებულება: *[თანხა ციფრებითა და სიტყვიერად, ასევე ვალუტის დასახელება. თუ ჯეროვნად შესრულებული ხელშეკრულების ფაქტობრივი ღირებულება ნაკლებია ხელშეკრულების ღირებულებაზე, მაშინ მიეთითება ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულებების თანხაც ციფრებითა და სიტყვიერად}.*

„ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულება დასტურდება შემდეგი დოკუმენტ(ებ)ით/ინფორმაციით: *[მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ითა და სისტემაში ასახული ანგარიშსწორების შესახებ ინფორმაციით. თუ მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი სრულად არის ატვირთული სისტემაში, ის/ისინი სააგენტოს აღარ წარედგინება].*

წინამდებარე ცნობა გაიცემა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად.

[შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა]

[ბეჭედი (არსებობის შემთხვევაში)].

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №35 - ვებგვერდი, 29.08.2017 წ.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 6 აგვისტოს ბრძანება №29 - ვებგვერდი, 09.08.2021 წ.